საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1_სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2_მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და

განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

IBSU-ში დანერგილია აკადემიური პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის სისტემა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებთან, კერძოდ, დოკუმენტთან „IBSU-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ აკადემიურ პოზიციებზე დაინიშნონ მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რაც ხელს უწყობს როგორც საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვას, ისე უნივერსიტეტის აკადემიური ხარისხის მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას.

ვიზიტის ფარგლებში, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების ანალიზის საფუძველზე, დგინდება, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დაკისრებულ ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

ფინანსების პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვის სქემა ახლდება ყოველ სემესტრში. სქემა მოიცავს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და სხვა სახის დატვირთვას, ასევე ითვალისწინებს იმ ყველა დაწესებულებაში არსებულ დატვირთვას, სადაც პერსონალს აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა უკავია.

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ლექტორები არიან სხვადასხვა მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორები, თანაავტორები, რედაქტორები და მთარგმნელები. ისინი აქტიურად

მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი ფლობს სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარებისათვის საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას. მისი კვალიფიკაცია გამყარებულია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში შესაბამისი აკადემიური ხარისხებითა და მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილებით.

პროგრამას ემსახურება 13 აკადემიური პერსონალი, რაც სამაგისტრო პროგრამისთვის საკმარის რესურსად შეიძლება შეფასდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სტუდენტთა კონტინგენტი არ არის მაღალი. 13 აკადემიური პერსონალიდან 7 არის დარგობრივი მიმართულების წარმომადგენელი, ანუ დაახლოებით 54% პირდაპირ შეესაბამება პროგრამის სფეროს. დარგობრივი მიმართულების 7 პერსონალიდან 6 ფლობს დოქტორის ხარისხს (86%). ეს ძლიერი მაჩვენებელია და მიუთითებს პროგრამის აკადემიური რესურსის მაღალ კვალიფიკაციაზე. 7 აფილირებული აკადემიური პერსონალი პროგრამის სტაბილურობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

აკადემიური პერსონალის განაწილება შემდეგია:

- პროფესორი – 1
- ასოცირებული პროფესორი – 9
- ასისტენტ-პროფესორი – 3

პროგრამაში ჩართულია 9 მოწვეული ლექტორი, რომელთაგან 5 დარგობრივი მიმართულებითაა.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ^[1]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ^[2]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი ¹	13	7	6	7
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	9	3	3	6
- ასისტენტ-პროფესორი	3	3	2	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	9	5	1	N/A
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

შეკომენდაცია: სტრატეგიული გეგმის შემუშავება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს სრულ განაკვეთზე მომუშავე მეტი აკადემიური პერსონალის დაქირავებას ან არსებული პერსონალის როლების კორექტირებას პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.

შეფასების **ჯგუფის** მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა სასწავლო გეგმისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესაბამისობის კიდევ უფრო გაძლიერებას, მიმდინარე აკრედიტაციისთვის სრულად არის შესრულებული. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და სამეცნიერო საქმიანობა შეესაბამება როგორც სასწავლო კურსების შინაარსს, ისე პროგრამის მიზნებსა და სწავლის

შედეგებს. განხორციელდა პერსონალის შემადგენლობის გადახედვა და საჭიროებისამებრ განახლება, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია თითოეული სასწავლო კომპონენტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტის მიერ განხორციელება. აღნიშნული ცვლილებები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას, პროგრამის შედეგებზე ორიენტირებულ განხორციელებას და სტუდენტებისთვის თანამედროვე აკადემიური და პრაქტიკული ცოდნის ეფექტიან მიწოდებას.

საანგარიშგებო პერიოდში უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალის განახლებისა და გაძლიერების მიზნით გამოაცხადა ორი საჯარო კონკურსი, რომელიც ორიენტირებული იყო როგორც აკადემიური, ისე პროფესიული გამოცდილების მქონე კანდიდატების შერჩევაზე. კონკურსის პროცესი გამჭვირვალე და ხარისხზე ორიენტირებული იყო და, მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენის გარდა, მოიცავდა საჩვენებელი ლექციის ჩატარებას, რაც კანდიდატთა პედაგოგიური, საკომუნიკაციო და პროფესიული კომპეტენციების შეფასების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენდა. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს ახლად დანიშნულმა აკადემიურმა პერსონალმა დადებითად შეაფასა როგორც კონკურსის ორგანიზების პროცესი, ისე შერჩევის კრიტერიუმების ობიექტურობა და გამჭვირვალობა. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს უნივერსიტეტის სწრაფვას, უზრუნველყოს პროგრამების განხორციელებაში მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის ჩართულობა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o IBSU-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- o აკადემიური დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის რეგულაცია;
- o თანამდებობრივი აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- o ინტერვიუს შედეგები;
- o IBSU-ის ოფიციალური ვებგვერდი – <https://ibsue.edu.ge>
- o

რეკომენდაციები

- o □რ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o □რ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პერსონალის CVების, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი პროგრამაში ჩართულია მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

□ ავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო სწავლების მარეგულირებელი შესაბამისი შიდა ნორმატიული დოკუმენტები, მათ შორის მაგისტრატურის დებულება, რომელიც განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამების განხორციელების, ხელმძღვანელობისა და სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის ძირითად პრინციპებს.

შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელები, რომელთა აკადემიური და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება ხელს უწყობს სამაგისტრო ნაშრომების შესრულებას დარგობრივი სტანდარტებისა და თანამედროვე პროფესიული ტენდენციების გათვალისწინებით.

ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტუდენტებს ხელმისაწვდომობა აქვთ კომპეტენტურ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას, ადმინისტრაციულ მხარდაჭერასა და სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას, სტუდენტთა აკადემიურ მხარდაჭერასა და პროგრამით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულებას. პერსონალის რაოდენობა და ჩართულობა ასევე ქმნის პროგრამის მდგრადობის საფუძველს.

წინა აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა პროგრამის ხელმძღვანელების კვლევითი საქმიანობისა და სამეცნიერო პუბლიკაციების რეგულარული შეფასებისა და დოკუმენტირების უფრო მკაცრი სისტემის ჩამოყალიბებას, მიმდინარე ეტაპზე მნიშვნელოვნად არის შესრულებული. უნივერსიტეტში დანერგილია აკადემიური პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების, სამეცნიერო საქმიანობის ყოველწლიური შეფასების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება აკადემიური აქტივობების ანგარიშგებასა და ქულებზე დაფუძნებულ შეფასების სისტემას. აღნიშნული პროცესი მოიცავს პუბლიკაციების, სამეცნიერო პროექტების, კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა კვლევითი აქტივობების შეფასებას, რაც უზრუნველყოფს კვლევითი

საქმიანობის სისტემურ მონიტორინგსა და დოკუმენტირებას. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელების კვლევითი აქტივობა დაკავშირებულია ფინანსებისა და ბიზნესის სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებთან, საერთაშორისო თანამშრომლობასა და სამეცნიერო დისკურსში ჩართულობასთან, რაც დადებითად აისახება პროგრამის განვითარებასა და აკადემიური ხელმძღვანელობის ხარისხზე.

შესაბამისად, რეკომენდაციის მიზანი – კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასებისა და დოკუმენტირების მექანიზმის გაძლიერება – პრაქტიკულად მიღწეულია, თუმცა სასურველია მომავალშიც გაგრძელდეს ხელმძღვანელთა კვლევითი შედეგების მიზნობრივი ანალიზი პროგრამის დარგობრივ საჭიროებებსა და ფინანსების სფეროში არსებულ უახლეს ტენდენციებთან მიმართებით.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	9	9	5
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	5	5	4
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	3	3	—
სამეცნიერო პერსონალი	-	-	—

ამრიგად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა 62.5% (5 ხელმძღვანელი) აკადემიური პერსონალია (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი), ხოლო 37.5% (3 ხელმძღვანელი) მოწვეული პერსონალია. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა უმრავლესობა დარგობრივი კომპეტენციის მქონე პერსონალია (75%), ხოლო ხელმძღვანელთა ნახევარი აფილირებულია უნივერსიტეტთან, რაც პროგრამის აკადემიური მდგრადობისა და კვლევითი ხელმძღვანელობის უწყვეტობის პოზიტიურ ინდიკატორად შეიძლება შეფასდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფინანსების სამაგისტრო პროგრამა;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები

- **პრ არის.**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- **პრ არის.**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<u>4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია</u>	შესაბამისობაშია

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყურადღებას უთმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. უნივერსიტეტში დანერგილია პერსონალის საქმიანობის სისტემური შეფასების მექანიზმები და მოქმედებს მათი კომპეტენციებისა და სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი ღონისძიებები.

პერსონალის კომპეტენციების შეფასება ხორციელდება მათი საქმიანობის ანალიზისა და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგების საფუძველზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებასა და გამოქვეყნებას, ხოლო შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად იგეგმება განვითარების ღონისძიებები.

შეფასების სისტემა მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს: სასწავლო (პედაგოგიურ) და აკადემიურ/სამეცნიერო საქმიანობას. სასწავლო საქმიანობა ყოველ სემესტრში ფასდება სტუდენტთა კითხვარების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს სასწავლო პროცესის სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის სასწავლო მასალების გამოყენებას, სილაბუსის დაცვას, სწავლის შედეგების მიღწევას და შეფასების მეთოდების ეფექტიანობას. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი იყენებს ლექცია-სემინარებზე

დასწრების მექანიზმს, რომლის ფარგლებშიც პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი უშუალოდ აკვირდებიან სასწავლო პროცესს და აფასებენ ლექტორის საქმიანობას. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას საერთაშორისო და ადგილობრივ პროფესიულ აქტივობებში ჩართულობის გზით. საანგარიშგებო პერიოდში პერსონალი მონაწილეობდა Erasmus+ მობილობებში, საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებში, ვორკშოპებსა და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში, რაც ხელს უწყობს თანამედროვე აკადემიური და პროფესიული პრაქტიკის გაზიარებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას.

დადებითად უნდა შეფასდეს სამეცნიერო საქმიანობის შეფასებისა და წახალისების მექანიზმიც. უნივერსიტეტში მოქმედებს ქულებზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც აკადემიურ პერსონალს კვლევითი აქტივობის, პუბლიკაციების, სამეცნიერო პროექტებისა და საერთაშორისო აკადემიური ჩართულობისკენ უბიძგებს. ამასთანავე, პროფესიული განვითარების ღონისძიებები მიზანმიმართულად იგეგმება შეფასების პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პერსონალის კომპეტენციების უწყვეტ განვითარებას და აკადემიური ხარისხის გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი თანმიმდევრულად ზრუნავს ადამიანური რესურსების განვითარებაზე, რაც ხელს უწყობს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ ზრდას, კვლევითი კულტურის გაძლიერებასა და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიან განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და სამეცნიერო პუბლიკაციები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული კვლევისა და შეფასების ანგარიშები.

რეკომენდაციები

- □რ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- □რ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე საგანმანათლებლო გარემო, რომელიც ერთდროულად ხელს უწყობს როგორც სწავლების, ისე კვლევითი საქმიანობის განვითარებას. ფინანსების სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ კამპუსში. ყველა აუდიტორია უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით. სასწავლო სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მათ შორის კომპიუტერებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და პროექტორებით. აღნიშნული რესურსები სტუდენტებს პრაქტიკული სწავლების პროცესში ჩართულობისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევს. მდსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საანგარიშგებო პერიოდში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და ტექნიკური აღჭურვის თვალსაზრისით: 2025–2026 აკადემიური წლისთვის განახლდა სასწავლო აუდიტორიები, მათ შორის შეიცვალა ავეჯი (მაგიდები და სკამები) და სასწავლო სივრცეები აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, მათ შორის Smart Board-ებით, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ინტერაქტიულობასა და ეფექტიანობას.

საგამოცდო პროცესის ელექტრონულ ფორმატზე გადასვლის უზრუნველსაყოფად დამატებით მოეწყო კომპიუტერული აუდიტორიები, რამაც გააძლიერა უნივერსიტეტის ტექნოლოგიური შესაძლებლობები და შექმნა პირობები შეფასების პროცესის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად წარმართვისათვის.

მნიშვნელოვნად განვითარდა საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურაც. გაფართოვდა ბიბლიოთეკა და შეიქმნა ახალი სამკითხველო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით. პარალელურად, განახლდა კომპიუტერული რესურსები უკვე არსებულ სამკითხველო სივრცეშიც. ახალი ბიბლიოთეკის სივრცე განთავსებულია უნივერსიტეტის B კორპუსის მეოთხე სართულზე და მოიცავს 91.8 კვ.მ ფართობს, რაც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სასწავლო და კვლევითი საქმიანობისთვის დამატებით კომფორტულ გარემოს სთავაზობს.

გარდა ამისა, აკადემიური პერსონალის პროფესიული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტის A და B კორპუსებში მოეწყო სპეციალური სამუშაო და შეხვედრების სივრცეები. აღნიშნული სივრცეები უზრუნველყოფილია შესაბამისი ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით, რაც ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის ეფექტიან სამუშაო პროცესს, კოლეგიურ თანამშრომლობასა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

განხორციელებული ინფრასტრუქტურული ცვლილებები ადასტურებს უნივერსიტეტის სისტემურ მიდგომას სასწავლო, კვლევითი და სამუშაო გარემოს უწყვეტი გაუმჯობესების მიმართულებით და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობას.

მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისას სპეციალური საორიენტაციო ტრენინგის ფარგლებში ეცნობიან როგორც ხელმისაწვდომ რესურსებს, ისე მათი გამოყენების წესებს. უნივერსიტეტში განსაზღვრულია სტუდენტთა რაოდენობისა და ტექნიკური რესურსების (კომპიუტერები და სხვა ინფრასტრუქტურა) თანაფარდობა, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისთვის ტექნიკურ საშუალებებზე ადეკვატურ ხელმისაწვდომობას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სასწავლო და კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ეფექტიან გამოყენებას.

ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით, რაც მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას, მოძებნონ რესურსები ავტორის, სათაურის ან თემატიკის მიხედვით. აღნიშნული სისტემა მნიშვნელოვნად ამარტივებს როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის მიერ საბიბლიოთეკო რესურსების მოძიებასა და გამოყენებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებსა და უახლეს სამეცნიერო გამოცემებზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ხელმისაწვდომობას თანამედროვე სამეცნიერო ცოდნასა და კვლევით რესურსებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის კამპუსის და ბიბლიოთეკის დათვალიერება;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- მსწერვითების შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
<u>4.4. მატერიალური რესურსი</u>	შესაბამისობაშია

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამის ბიუჯეტის ანალიზი აჩვენებს, რომ ფინანსების სამაგისტრო პროგრამას გააჩნია ფინანსური მდგრადობისა და უწყვეტი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსები. პროგრამის საერთო შემოსავალი 199,800 ლარს შეადგენს, ხოლო ჯამური ხარჯები – 194,786 ლარს, რაც ნიშნავს, რომ პროგრამა ფუნქციონირებს დადებითი ფინანსური ბალანსით და სრულად ფარავს მის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

პროგრამის ბიუჯეტის სტრუქტურა ადასტურებს, რომ გათვალისწინებულია როგორც უშუალოდ სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებული ხარჯები (სწავლება, პრაქტიკა, სამაგისტრო ნაშრომი, სასწავლო რესურსები), ასევე პროგრამის ეფექტიანი ადმინისტრირებისა და მართვისათვის საჭირო რესურსები. კერძოდ, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსებია გამოყოფილი პროგრამის ხელმძღვანელობის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრირების მიმართულებით, რაც პროგრამის ორგანიზაციულ და აკადემიურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ბიუჯეტი თანხვედრაშია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიასთან და იმ ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებთან, რომლებიც განხორციელდა ბოლო პერიოდში. ასევე, უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკა ითვალისწინებს პროგრამების მხარდაჭერას იმ შემთხვევაშიც, თუ კონკრეტულ წელს სტუდენტთა რაოდენობა არ იქნება საკმარისი პროგრამის სრული თვითდაფინანსებისთვის. ეს მიდგომა დამატებით ზრდის პროგრამის ფინანსურ მდგრადობას და ამცირებს მისი შეწყვეტის ან რესურსების შემცირების რისკს.

შეფასების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის ფინანსური რესურსები არის საკმარისი, რეალისტურად დაგეგმილი და მდგრადი. ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის სრულფასოვან განხორციელებას, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და სასწავლო რესურსების დაფინანსებას, ხოლო უნივერსიტეტის მხრიდან განხორციელებული ინფრასტრუქტურული და ფინანსური მხარდაჭერა ქმნის პროგრამის გრძელვადიანი განვითარების და სტაბილური ფუნქციონირების საფუძველს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მონიტორინგის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ დაწესებულებამ გაატარა მნიშვნელოვანი ღონისძიებები მე-5 სტანდარტის ფარგლებში განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მიზნით.

დაწესებულებაში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და

მოწვეული პერსონალის ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და შემდგომი განვითარების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს კმაყოფილების კვლევების, სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებების, საგამოცდო სისტემის შეფასებისა და სხვა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების ანალიზის შედეგებს.

წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მონაწილეობს როგორც შიდა შეფასების მექანიზმების განხორციელებაში, ისე პროგრამების მონიტორინგისა და განვითარების პროცესებში. ამასთან, ფუნქციონირებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, განსაზღვრულია სამიზნე მაჩვენებლები და შესაბამისი რეაგირების მექანიზმები.

5.1 კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები უკავშირდებოდა თვითშეფასების პროცესის ინკლუზიურობის გაძლიერებას, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უფრო აქტიურ და უშუალო ჩართულობას, ასევე თვითშეფასების ანგარიშებში კვლევების შედეგებისა და მათი გამოყენების უფრო მკაფიო ასახვას.

აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების დასადასტურებლად უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები. კერძოდ, შემუშავებულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ სახელმძღვანელო, რომელშიც დეტალურად არის განსაზღვრული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის როლი და მონაწილეობა პროგრამების შეფასების პროცესში. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს ასევე დადასტურდა, რომ თვითშეფასების ჯგუფში წარმოდგენილი იყო სტუდენტი.

ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სისტემატურად ხორციელდება სხვადასხვა კვლევა და შეფასება, მათ შორის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (2194 რესპონდენტი, 72%-იანი ჩართულობა), აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა (108 რესპონდენტი), ლექტორებისა და სასწავლო კურსების შეფასება, აგრეთვე საგამოცდო სისტემის შეფასება (2865 რესპონდენტი).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ასევე შეხვედრების ნარატივი, რომელშიც ასახულია სტუდენტებთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან გამართული შეხვედრები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაცნობის, მოსაზრებების გაზიარებისა და უკუკავშირის მიღების პროცესი.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გამოკითხვების ადმინისტრირებით. წარმოდგენილი მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში მოქმედებს ფორმალიზებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ხორციელდება მიღებული მონაცემების ანალიზი, დანერგილია უკუკავშირის სისტემური შეგროვებისა და გამოყენების პრაქტიკა, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესების კოორდინაციასა და განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ 5.1 სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციები შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ სახელმძღვანელო
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა
- ლექტორებისა და სასწავლო კურსის შეფასებები
- საგამოცდო სისტემის შეფასება
- წარმოდგენილია შეხვედრების ნარატივი, სადაც აღწერილია სტუდენტებთან და პერსონალთან შეხვედრები, ხარისხის მექანიზმების გაცნობა და უკუკავშირის მიღება.

რეკომენდაციები

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა რეკომენდაცია უკავშირდებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლის გაძლიერებას გარე შეფასების პროცესებში, მათ შორის გარე შეფასებების შედეგების ანალიზსა და აღნიშნულ შედეგებზე დაფუძნებული დოკუმენტაციის მომზადებაში უფრო აქტიურ ჩართულობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, უნივერსიტეტში დანერგილია როგორც შიდა, ისე გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების პროცესში დაწესებულება აქტიურად იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს, მათ შორის პროგრამული აკრედიტაციისთვის მომზადების ეტაპზე. ამ მიმართულებით ინსტიტუცია თანამშრომლობს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს წარმართავს მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისად.

წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურ მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესებში, რაც უზრუნველყოფს გარე შეფასებების შედეგების გათვალისწინებასა და მათ გამოყენებას პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“
- სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების შეფასება

რეკომენდაციები

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი ჩართულობის პრინციპით და მოიცავს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას. აღნიშნული პროცესი ეფუძნება ინფორმაციის რეგულარულ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს.

პროგრამის შეფასებისა და შემდგომი განვითარების პროცედურები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოთი, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მარეგულირებელი მეთოდოლოგიით, რომლებიც პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ძირითად ჩარჩოს ქმნის.

პროგრამის ეფექტიანობის შეფასება სხვადასხვა მაჩვენებლის საფუძველზე ხორციელდება. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია როგორც სტუდენტთა აკადემიური მიღწევები, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები, პროგრამის პოპულარობა და მოთხოვნადობა, ასევე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების, მოლოდინებისა და დამოკიდებულებების შესწავლა. ამასთან, გამოიყენება მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სხვადასხვა მექანიზმი, მათ შორის უკუკავშირის მიღებისა და ინფორმაციის გაზიარების ინსტრუმენტები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროგრამის განხორციელებაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას.

აღსანიშნავია, რომ მოცემული კომპონენტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ არც რეკომენდაცია და არც რჩევა არ ყოფილა გაცემული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ სახელმძღვანელო

- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტი

რეკომენდაციები

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<u>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</u>	შესაბამისობაშია

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის



თამარ კბილაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ნათია დაღელიშვილი

ნინო პატარაია



